პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2020 წლის —— თებერვალი **ქალაქი ბათუმი**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N

ქალაქ ბათუმში, ნ. ბარათაშვილის ქ. N14/ზ. გორგილაძის ქ. N2-ში
არსებულ საცხოვრებელ სახლზე გიორგი ერქომაიშვილის
მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61 მუხლის მეორე პუნქტის, „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–19 მუხლის და „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 26 აპრილის №5–7 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე–7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. საქართველოსა და აჭარის დამსახურებული ინჟინრის, არქიტექტორის გიორგი ერქომაიშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად, ქ. ბათუმში, ნ. ბარათაშვილის ქ. N14/ზ. გორგილაძის ქ. N2-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს მემორიალური დაფა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურთან შეთანხმებული პროექტის (ესკიზის) მიხევით.
2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ განკარგულების შესრულების მიზნით განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **სულიკო თებიძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქ. ბათუმში, ნ. ბარათაშვილის ქ. N14/ზ. გორგილაძის ქ. N2-ში არსებულ საცხოვრებელ სახლზე გიორგი ერქომაიშვილის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე" ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის ძირითადი არსი:

გიორგი ერქომაიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქ. ბათუმის დაგეგმარებისა და განაშენიანების საქმეში. ის წარმატებით უხამებდა ერთმანეთს ადმინისტრაციული ხელმძღვანელის თანამდებობასა და შემოქმედებით არქიტექტურულ საქმიანობას. სხვადასხვა დროს, მას, როგორც ავტორსა და თანაავტორს, დაპროექტებული და რეალიზებული აქვს 54-ზე მეტი სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულების ობიქტი, კერძო ქ. ფოთში, ქ. ოზურგეთში, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონებში, ქ. ბათუმში და სრულიად აჭარის რეგიონში, სადაც დაპროექტებული და აშენებული აქვს საცხოვრებელი სახლები, კულტურის სასახლები, სკოლები, ადმინისტრაციული შენობები, სასოფლო კლუბები, სამედიცინო-სამკურნალო დაწესებულებები, მცირე არქიტექტურული ფორმები და მრავალი სხვა.

დაჯილდოებული იყო მედლებითა და საპატიო სიგელებით. ოთხჯერ იყო არჩეული მშრომელთა დეპუტატების ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატად (1969-1981წწ); 1961 წელს მიენიჭა აჭარის დამსახურებული ინჟინრის წოდება, ხოლო 1971 წელს საქართველოს დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება. 1999 წელს დაჯილდოვდა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით ღირსების ორდენით. მისი სახელი შეტანილია თანამედროვე ქართველ არქიტექტორთა ბიოგრაფიულ ლექსიკონში ასევე, საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედიაში.

არქიტექტურული და ქალაქმთშენებლობის განვითარების სფეროში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და მრავალწლიანი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის მიზანშეწონილია საკითხის დადებითად გადაწყვეტა.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქ. ბათუმში, ბარათაშვილის ქ. N14/ზ. გორგილაძის ქ. N2-ში არსებულ საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს გიორგი ერქომაიშვილის მემორიალური დაფა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა)პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის აჭარის ორგანიზაცია.

ზ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ზ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი არ გააჩნია.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში, და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის შემუშავებაში ზემოაღნიშნული სუბიექტები არ მონაწილეობდნენ.

ე) პროექტის ავტორი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია.

ვ) პროექტის ინიციატორი:

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის აჭარის ორგანიზაცია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე ირაკლი პატარიძე

საქართველოს არქიტექტორთა კავშირი

აჭარის ორგანიზაცია

Georgian Union of Architects

UIA National Section

89/24 David Agmashenebeli ave. 0102 Tbilisi, Georgia. T(995 32) 227402 Fax: (995 32) 959987 E-mail: archunion_geo@yahoo.com
80, Z. Gorgiladze, apartament 38, 6010 Batumi, Georgia, T (+995 599 2043168 +995 574 083737) E-mail: rezgogi@mail.ru

International union of Architects

Member countries

Andorra
Armenia
Australia
Azerbaijan
Baltic countries
Estonia
Latvia
Lithuania
Bangladesh
Belgium
Bolivia
Bosnia and Herzegovina
Brazil
Bulgaria
Cameroon
Canada
Chile
Columbia
Costa Rica
Cote d'Ivoire
Croatia
Cyprus
Czech Republic
Dominican Republic
Ecuador
Egypt
France
Former Yugoslav Republic of Macedonia
Georgia
Germany
Greece
Honduras
Hong Kong
Hungary
India
Ireland
Israel
Italy
Jamaica
Japan
Kazakhstan
Kenya
Lebanon
Luxembourg
Macao
Malaysia
Mali
Malta
Mauritius
Mexico
Mongolia
Morocco
Namibia
Netherlands Antilles
New Zealand
Nicaragua
Nigeria
Nordic Countries
Denmark
Finland
Iceland
Norway
Sweden
Palestine
Panama
People's Democratic Republic of Korea
People's Republic of China
Philippines
Poland
Portugal
Puerto Rico
Republic of Korea
Romania
Russia
Singapore
Serbia & Montenegro
Slovak Republic
Slovenia
Societist Republic of Vietnam
South Africa
Spain
Sri Lanka
Switzerland
Syria
Tanzania
Thailand
Trinidad & Tobago
Tunisia
Turkey
Uganda
Ukraine
United Kingdom
United States of America
Uruguay
Uzbekistan
Venezuela
Temporary Members
Bahamas
Fiji
Suriname

№ 19.
08.12.2019

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ სულიკო თებიძეს

თემა: მემორიალური დაფის დაყენების შესახებ

ბატონო თავმჯდომარე!

აჭარაში მოღვაწე არქიტექტორთა სახელით გვინდა წარმოგიდგინოთ, აწ განსვენებულ არქიტექტორ გიორგი სერგოს ძე ერქომაიშვილის პიროვნება, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ქ. ბათუმის დაგეგმარებისა და განაშენიანების საქმეში.

ბიოგრაფიული მონაცემები

გიორგი ერქომაიშვილი დაიბადა 1920 წლის 7 იანვარს დონის როსტოვში, პედაგოგისა და სამხედრო ექიმის ოჯახში.

1937-1946 წლებში სწავლობდა საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა არქიტექტორის სპეციალობით.

1942-1945 წლებში მუშაობდა აჭარის კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საპროექტო ორგანიზაცია "აჭარპროექტში" არქიტექტორად, ხოლო 1954 წლიდან, "აჭარპროექტის" უფროსად.

1955-1969 წლამდე, აჭარპოექტის რეორგანიზაციის შემდეგ, სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის "საქქალაქმშენსაპროექტის" ბათუმის ფილიალის მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე.

1969-1981 წლებში იყო ქ. ბათუმის მთავარი არქიტექტორი. ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების გამგე.

1981-1991 წლებში, საპროექტო ინსტიტუტის "საქქალაქმშენსაპრო-ექტის" ბათუმის ფილიალის დირექტორი.

1992 წლიდან გარდაცვალებამდე, ეწეოდა არქიტექტურულ-შემოქმედებით საქმიანობას კონსულტანტის რანგში.

51,rue Raynouard 75016 Paris (France)

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
შემოსული № 11/658
„9" დეკემბერი 2019 წ.

1955-2005 წლებში ცხოვრობდა ქ. ბათუმში, ნ. ბარათაშვილის ქ. №14/ზ. გორგილაძის ქ. №2-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში, გარდაიცვალა 2005 წლის17 იანვარს.

არქიტექტურულ–შემოქმედებითი მუშაობა

გ. ერქომაიშვილი წარმატებით უხამებდა ადმინისტრაციული ხელმძღვანელის თანამდებობას და შემოქმედებით არქიტექტურულ საქმიანობას. სხვადასხვა დროს, მას როგორც პროექტის ავტორსა და თანაავტორს, დაპროექტებული და რეალიზებული აქვს 54-ზე მეტი სხვადადსხვა ფუნქციონალური დანიშნულების ობიექტები, დასავლეთ საქართველოს რეგიონებში: ქ. ფოთში, ქ. ოზურგეთში (მახარაძე), ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონებში და სოფლებში, ქ. ბათუმში, ქობულეთსა და აჭარის რეგიონში, სადაც დაპროექტებული და აშენებული აქვს საცხოვრებელი სახლები, კულტურის სასახლეები, სკოლები, ადმინისტრაციული შენობები, სასოფლო კლუბები, სამედიცნო-სამკურნალო დანიშნულების ობიექტები, მცირე არქიტექტურული ფორმები და მრავალი სხვა.

ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება გამოვყოთ, ბათუმელთათვის ცნობილი ობიექტები, როგორიც იყო ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კულტურის სასახლე (1950-1953), რომელიც რეკონსტრუქციის შემდეგ გადაკეთდა მუსიკალურ ცენტრად, ქ. ბათუმში, ბათუმის პროფკავშირების სასახლე, ქ. ბათუმში, ზ. გორგილაძის ქუჩაზე №1 და №2 საცხოვრებელი სახლები, არქიტექტორები გ. ერქომაიშვილი, ნ. კოპალაძე, ტ. მარისკინა.

ქ. ბათუმში, სკოლა 800 ადგილზე მენავთობეთა დასახლებაში, ბათუმის დრამატული თეატრი (1949-1952) არქიტექტორები ტეპლიცკი, ერქომაიშვილი, აეროვაგზალი ბათუმის აეროპორტში, არქ. გ. ერქომაიშვილი, საზღვაო აბაზანები ქ. ბათუმსა და ქ. ქობულეთში, ბათუმის ბულვარის მთავარი შესასვლელი, ფერადი მუსიკალური შადრევნები, არქიტექტორები რ. გოგიტიძე, გ. ერქომაიშვილი.

ქ. ბათუმში, გ. ერქომაიშვილისა და მისი მონაწილოებით დაპროექტებული და აშენებული ობიექტებიდან – საცხოვრებელი სახლი ქ. ბათუმში, ზ. გორგილაძის ქ. № 2, ბათუმის მენავთობეთა კულტურის სახლი ბნზ–ს დასახლებაში, ბათუმის პროფკავშირების ყოფილი სასახლე ი. ჭავჭავაძის ქუჩაზე, ბათუმის დრამატული თეატრი წარმოადგენენ ბათუმის არქიტექტურულ ძეგლებს.

ჯილდოები და საპატიო წოდებები

გ. ერქომაიშვილი თავისი მოღვაწეობის პერიოდში, დაჯილდოებული იყო მედლებითა და საპატიო სიგელებით.

ოთხჯერ არჩეული იყო მშრომელთა დეპუტატების ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატად (1969-1981 წწ).

აჭარის ასსრ უმაღ ლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 9 მაისის ბრძანებულებით, მიენიჭა აჭარის დამსახურებული ინჟინრის წოდება, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 18 მაისის ბრძანებით, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება. იხ. დანართი.

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 ნოემბრის №.1344 განკარგულებით, დაჯილდოვდა ღირსების ორდენით №. 02563. იხ. დანართი

მისი სახელი შეტანილია თანამედროვე ქართველ არქიტექტორთა ბიოგრაფიულ ლექსიკონში (1999 წლის გამოცემა) და საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედიაში (2017 წლის გამოცემა).

არქიტექტურისა და ქალაქმენებლობის განვითარების სფეროში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და მრავალწლიანი შემოქმდებითი მოღვაწეობისათვის, არქიტექტორ გიორგი სერგოს ძე ერქომაიშვილის სახელის უკვდავსაყოფად, დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით, გთხოვთ განიხილოთ მემორიალური დაფის დაყენების საკითხი, ქ. ბათუმში ნ. ბარათაშვილის 14 / ზ. გორგილაძის №.2 სახლზე, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა (1955-2005 წწ) გარდაცვალებამდე.

მემორიალური დაფის დამზადებისა და დაყენების ხარჯები დაიფარება არქიტექტორთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის მიერ.

დანართი:

– ცნობა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანცელარიიდან – 1 ფ.

– ღირსების ორდენის მოწმობის ასლი – 1ფ.

პატივისცემით,
აჭარაში მოღვაწე არქიტეტორთა სახელით.

რევაზ (რეზო) გოგიტიძე

აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე
საქ. არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარის
მოადგილე

საკ. ტელ. 574-08-37-37, ქ. ბათუმი

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის
კანცელარია

КАНЦЕЛЯРИЯ
ПРЕЗИДИУМА ВЕРХОВНОГО СОВЕТА
АДЖАРСКОЙ АССР

ტელეფონი: 3-29-62, 3-20-91
Телефон: 3-29-62, 3-20-91

№ 250

1989 წლის 13 აპრილი

ც ნ ო ბ ა

ამხ. ჯიქრაიშვილი ვასილ სერგის ძე დაჯილდოებულია მედლებით: "[illegible]", "ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად", "1941-1945 წ.წ. დიდ სამამულო ომში გამარჯვების ოცდაათი წელი", "1941-1945 წ.წ. დიდ სამამულო ომში გამარჯვების ორმოცი წელი", "შრომის ვეტერანი".

ვ.ს.ჯიქრაიშვილს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 8 [illegible] ბრძანებულებით მიენიჭა [illegible] 1971 წლის 18 [illegible] ბრძანებულებით საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება.

ვ.ს.ჯიქრაიშვილი აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 11 [illegible], 1982 წლის [illegible] და 1987 წლის 8 აპრილის ბრძანებულებებით დაჯილდოებულია პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ვ.ს.ჯიქრაიშვილი 1953-1987 წლებში წარმატებით იყო არჩეული [illegible] საბჭოს დეპუტატად, [illegible]

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი [illegible]

ღირსების ორდენი



მოწმობა № 02543

გიორგი ერეკლეიშვილი

საქართველოს პრეზიდენტის
1999 წლის 4 ნოემბრის

№ 1344

განკარგულებით დაჯილდოვდა

ღირსების ორდენით

№ 02563

საქართველოს
პრეზიდენტი ე. შევარდნაძე